საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990156190243219

№13/3697 **05 / სექტემბერი / 2019 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ბატონ იური ნოზაძეს

ასლი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

ბატონო იური,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან 2019 წლის 21 აგვისტოს გამოგზავნილი #8312/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში მოსაზრებების გამოხატვის საჭიროებას, წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშის ანალიზის შედეგად შემუშავებულ ძირითად შემდეგ შენიშვნებს:

- დოკუმენტის 4.3 თავში, რომელიც ეხება „სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებ“-ს, აღნიშნულია რომ „2015-2016 წლებში ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით მომზადებულია „ქ. მცხეთის გენერალური გეგმა“ (შემსრულებელი შპს „სალი“). დოკუმენტი არ დამტკიცებულა. 2015-2016 წლებში დამუშავებული გენერალური გეგმა მოიცავდა თვითმმართველი ქალაქი მცხეთის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიას, რომელშიც სრულად არ შედიოდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისათვის აუცილებელი ისტორიული ლანდშაფტი, მათ შორის ჯვრის მონასტერი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, რაც 2017 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე დამტკიცებულ იქნა გადაწყვეტილებით #41 COM 8B. 44, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ბუფერული ზონა“, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ერთიანი ბუფერული ზონის დამტკიცებას წინ უსწრებდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის #03/212 ბრძანება „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის გაფართოებისა და მათი ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალის დამტკიცების შესახებ, რამაც ეროვნულ დონეზე უზრუნველყო ძეგლებისა და მისი ვიზუალური არეალის შესაბამისი დაცულობა.
- დოკუმენტის 5.2 თავში, რომელიც ეხება ‘საერთაშორისო სტატუსის მქონე ტერიტორიებ“-ს, აღნიშნულია, რომ: მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები „1994 წლიდან იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი“, აქვე უნდა მიეთითოს, რომ 2017 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის 41-სესიის გადაწყვეტილებით, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ბუფერული არეალი საგრძნობლად გაიზარდა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო როგორც ამ არქიტექტურული ძეგლების, ასევე მისი მაფორმირებელი ლანდშაფტის მთლიანობის დაცულობა.
- დოკუმენტის 5.2 ‘საბაზისო კვლევებ“-ში აღნიშნულია რომ „ახალმა ჰიდროლოგიურმა ვითარებამ ზაჰესის აგების შედეგად, რამაც დრამატულად „ჩაძირა“ სვეტიცხოვლის ტაძარი, ბუნებრივი „კვარცხლბეკი“ გამოაცალა მას“. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტროსადგურის მშენებლობა 1927 წელს დასრულდა, ხოლო სრული სიმძლავრით 1938 წელს ამოქმედდა, 2019 წლის მდგომარეობით ის ვერ იქნება განხილული როგორც „ახალი ჰიდროლოგიური ვითარება“, და შესაბამისად ლანდშაფტისა და ჰიდროლოგიის ისტორიულ მაფორმირებელ ფაქტორებად უნდა მოიაზრებოდეს.
- ასევე გაუგებარია რას ნიშნავს ამავე თავში მოცემული ‘მცხეთის ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის ინსტიტუციონალიზირება“, რა საკანონმდებლო ჩარჩოს უნდა დაეყრდნოს აღნიშნული მოსაზრება;
- ამავე, საბაზისო კვლევების თავში, ისევე როგორც სკოპინგში გაანალიზებულ კონცენფციის ქალაქმაფორმირებელ (საკვანძო ობიექტებისა და ქმდებების წინადადებებში (პუნქტი 4) ერთერთ ამოცანად წარმოდგენილია „ჯვარის მონასტრის ძირში, საერთაშორისო მნიშვნელობის

საავტომობილო გზის, ს-1-ის მონაკვეთზე, სატრანსპორტო გვირაბის მოწყობა და ლანდშაფტის გამთლიანება“ - ლანდშაფტის გამთლიანების ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებამდე, რაც ასევე კონცეფციის ერთერთ განვითარების საპროექტო წინადადებას წარმოადგენს, სიღრმისეულად უნდა იყოს შესწავლილი თუ რა ტექტოკიკურ-გეოლოგიური ძვრები შეიძლება გამოიწვიოს ჯვრის მთის ქვეშ გვირაბის გაჭრამ, რამაც შესაძლოა შეუქცევადი ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს მხეთის ჯვრის მთლიანობაზე. ასეთივე სიფრთხილესა და წინასწარულ კვლევებს საჭიროებს კონცეფციაში წარმოდგენილი და სკოპინგის ანგარიშის (საკვანძო ობიექტებისა და ქმდებების წინადადებებში ასახული კარსნის ხევში - საბაგიროს მოწყობის შესაძლებლობა;

- საბაზისო კვლევების თავში, ისევე როგორც კონცეფციის ნაწილში იხილება „მცხეთის ისტორიული ძეგლების“ – „დიდი მცხეთის“ ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის“ ნომინაციაში გადაყვანის წინადადება“, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოსაზრებით არ არის მიზანშეწონილი შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

  > როგორც მოგეხსენებათ, მცხეთის სამი გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოვლის სამონასტრო კომპლექსი და სამთავროს მონასტერი, მათი ერთიანი გამორჩეული მსოფლიო მნიშვნელობის გამო (კრიტერიუმი (iii) და (iv)), შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს. აღსანიშნავია, რომ საქართველომ წარადგინა ნომინაცია მცხეთის ქალაქ-მუზეუმი, რომელიც მოიცავდა არა მარტო ამ 3 ეკლესიას, არამედ მთლიანი მცხეთისა და მისი შემოგარენში არსებულ ძეგლებსაც. 1994 წელსვე მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის ოპერაციული გაიდლაინის შესაბამისად, ICOMOS-ის საკომსულტაციო მისიის მიერ იქნა შეფასებული სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ნომინაცია (იხ. დოკუმენტი მსოფლიო მემკვიდრეობის ოფიციალურ გვერდზე: https://whc.unesco.org/en/list/708/documents/ Advisory Body Evaluation – 1994), რომელმაც, საბოლოო დასკვნებში მიზანშეწონილად მიიჩნია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისთვის გამოჩეული ყოფილიყო სამი ძეგლი: სვეტიცხოველი, ჯვარი და სამთავრო, სხვა არეალები უნდა მოაზრებულიყო მის ბუფერულ ზონაში, ამავე რეკომენდაციაში (და შესაბამის გადაწყვეტილებაში) სახელმწიფოს მხარეს მოსთხოვეს ადექვატურად სახელწოდების შეცვლა. მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების (OUV) განაცხადი, რომელიც ძეგლის ნომინაციის ნაწილს წარმოადგენს, სათანადოდ არის წარმოჩენილი მისი ლანდშაფტის და რელიგიური მნიშვნელოვანება ძეგლის მთლიანობისა და ავთენტურობის გასააზრებლად. სწორედ ამ მთლიანობის დასაცავად, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტისა და მისი მრჩეველი ორგანოებიდან მოთხოვნების საფუძველზე, 2016 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვისა და კულტურის მინისტრის ბძანების შესაბამისად, დადგინდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების: სვეტიცხოვლის, სამთავროსა და ჯვრის ერთიანი ვიზუალური დაცვის ზონა, რომელიც 2017 წელს კომიტეტის მიერ იქნა დამტკიცებული როგორც მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ბუფერული ზონა. აღნიშნული ტერიტორია სრულად მოიცავს იმ ლანდშაფტურ კონფიგურაციას, რომელიც ასე მნიშვნელოვანია კონცეფციის ავტორებისათვის. ანუ ტერიტორია მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის რეჟიმით სრულად არის დაცული.
  > ის რელიგიურ-სემანტიკური მახასიათებლები, რომელსაც ასევე ანვითარებს სავტორთან ჯგუფი, კონვენციის ენაზე არის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებთან ასოცირებული ღირებულებები, რომელიც ავსებს შინაარსითა და ფუნქციით და აუცილებლად დასაცავია კონვეცნიის შესაბამისად ისედაც.
  > და ბოლოს, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ქვეყნების მიერ ნომინაციების წარდგენის მოტივაცია არის ამ ადგილის შესახებ საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა და მისი პოპულარიზაცია. ეს მიზანი, მცხეთის შემთხვევაში აბსოლუტურად მიღწეულია. შესაბამისად, მაშინ, როდესაც სახეკმწიფოს მიერ 1996 წლის მერე, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისთვის ახალი წარმატებული ნომინაცია არ მოუმზადებია, დროის, ადამიანური და ფინასნური რესურსის დახარჯვა ძალიან რთული და მრავალწლიანი რენომინირების პროცესისთვის, არამიზნობრივად მიგვაჩნია, მით უფრო, რომ ეს ვერანაირ დამატებით, ახალ სარგებელს ვერ მოუტანს სახელმწიფოს და თვითონ ძეგლს (იხ. მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შესახებ დეტალური ინფორმაცია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ოფიციალური ვებგვერდზე: https://whc.unesco.org/en/list/708)

- წარმოდგენილი დოკუმენტის 3.4 თავში, რომელიც ეხება ‘ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლების ხარისხს“, ისევე როგორც ქ. მცხეთის გენერალური გეგმის ძირითადი „ცხელი წერტილებისა“ და აქტუალური პრობლემების თავში, გამორჩენილია მიწისქვეშა გრუნტის წყლების საკითხის გადაჭრის აუცილებლობა, რომელიც რეცხავს სვეტიცხოვლის საძირკველს და ასევე მის გარშემო არსებული ნაგებობებისთვისაც ქმნის საფრთხეს;
- სკოპინგის ზოგად საფრთხეებში ასევე გასათვალისწინებელია ძლიერი ქარი, განსაკუთრებით ჯვრის არეალში, რომელიც სისტემატიურად შლის სამშენებლო მასალას , რის შედეგადაც, ჯვრის საკონსერვაციო მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება.~
- სკოპინგის ანგარიშის 3.2 თავში, რომელიც ეხება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის არსებულ დოკუმენტაციასა და დარგობრივ პროექტებს/პროგრამებს, გამორჩენილია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის #03/212 ბრძანება „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის გაფართოებისა და მათი ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალის დამტკიცების შესახებ.

- სკოპინგისა და ასევე კონცეფციაში წამოყენებული წინადადებებები „ქ. მცხეთისა და მისი შემოგარენის („დიდი მცხეთის“) სივრცითი გარემოს საკრალურ-სემანტიკური სისტემისთვის ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა“ და ტოპონიმებისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან (ურბანონიმებისა და ჰიდრონიმების ჩათვლით) დაკავშირებით დამატებით დამუშავებას საჭიროებს არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის კონვენციასთან მიმართებაში.
- შენიშვნები გამოითქვა წარმოდგენილ წინადადებასთან - „პოლიცენტრული აგლომერაციული ფუნქციების გადანაწილების კონტექსტში, თბილისის მერიასთან შეთანხმებით, „შემოდგომის ბარაქას“ დღესასწაულის მცხეთაში, „თეატრონში“ გადმოტანასთან დაკავშირებით: აღნიშნული დღესასწაული არის „თბილისობის“ რე-ტრენდირების სურვილი, რომელიც უკვე ტრადიციად არის ქცეული და დედაქალაქის კულტურული ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. მას თავისი შექმნის და განვითარების ისტორია აქვს სწორედ დედაქალაქისათვის. მცხეთისთვის შესაძლებელია უფრო მცირე მასშტაბით დაარსდეს სხვა ან იგივე სახელწოდების (მარკეტოლოგების მოსაფიქრებელია) ანალოგიური დღესასწაული, ადგილზე ერთდროულად ადმიანთა/ტრანპორტის რაოდენობის ამტანობის გათვალისწინებით.
- გენგეგმის კონცეფციის ეფექტიანობის შეფასებით ნაწილში, ავტორთა ჯგუფი აყენებს ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების ნომენკლატურის კორექტირების ალტერნატიული წინადადებას - ზოგადი დამცავი ზონების სტრუქტურიდან „ისტორიული განაშენიანების დამცავი ზონის“ ამოღების თაობაზე, რაც, მკაცრი კონტროლის პირობებში იძლევა შიდა განვითარების რესურსების გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული წინადადება ყოვლად დაუშვებელია კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობის შესაბამისად, მით უფრო, რომ ისტ.კულტ გეგმის პროექტში ნათლად წარმოდგენილია მისი ისტორიული განაშენიანების სპეციფიკა და ასევე ძეგლების კონცენტრაცია, რომელიც შემოთავაზებულ ისტორიულ განაშენიანების ზონაში ექცევა. ისტორიული განაშენიანების ზონა იძლევა შესაძლებლობას მშენებლობისა თუ ა) სამშენებლო ობიექტი ენაცვლება მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფ, ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას მოკლებულ შენობას, ნაგებობას ან საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელს; ბ) სამშენებლო საქმიანობამ უნდა გააუმჯობესოს დეგრადირებული ურბანული ქსოვილი (შეავსოს ისტორიულ განაშენიანებაში ნგრევის შედეგად გაჩენილი სიცარიელეები, შეცვალოს ღირებულ შენობებს შორის მოქცეული არაღირებული ნაგებობები, გაათავისუფლოს სივრცე ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში დისონანსის შემტანი ნაგებობებისაგან, თავდაპირველი სახით აღადგინოს მისი ისტორიული გარემო და სხვა). 5. საპროექტო ობიექტის კონფიგურაცია, პროპორციები და გეგმარებითი სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს. შენობა ორგანულად უნდა ერწყმოდეს განაშენიანების ტრადიციულ ფორმებს და გარემოს, არ უნდა უპირისპირდებოდეს ისტორიული განაშენიანების იერსახეს, მორფოლოგიასა და მასშტაბს, ლანდშაფტურ გარემოს - რაც აბსოლუტურად თავსებადია მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მოთხოვნებთან, კიდევ მეტიც, კომიტეტის, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მისი მრჩეველი ორგანოების მიერ მოთხოვნილია კიდევ უფრო დაწვრილმანებითი სამშენებლო პრინციპების შემუშავება, რაც განასხვავებს ერთი ზონის ფარგლებში სხვადასხვა უბნის მახასიათებლებს (სვეტიცხოვლის გარშემო და მდინარის ნაპირთან ტერიტორიებზე მაგალითად)

დასასრულს, დანართის სახით წარმოგიდგენთ ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით დაფუძნებულ პროფესიულ საბჭოში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სახელით წარდგენილი ექსპერტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს.

დანართი 1: ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით დაფუძნებულ პროფესიულ საბჭოში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სახელით წარდგენილი ექსპერტის მიერ გამოთქმულ შენიშვნები

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

პაატა დოლიძე